საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N _____
__/__/____

000000-00-0-000000000000

GEORGIA'S PEFORMS ASSOCIATES-ს
ფაქტ.მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ მაია მერკვილაძეს
(მის: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. #80/2. ბინა 4. ტელ.: 577 73 86 68)

ქალბატონო მაია,

თქვენი მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის #11282 წერილის პასუხად, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის შემოწმების შედეგებს შეეხებოდა, გაცნობებთ, რომ მონიტორინგის დროს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია გაწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული დაფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის პროგრამით", სადაც გათვალისწინებულია:

წინა წლებში მოსახლეობაში:

- მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;
- სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;
- გარემოს დაბინძურების შემთხვევები;
- მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

- სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2016 წელს მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტებულ ლაბორატორიაში კვლევის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით აღებულ იქნა სასმელი წყლის 7 სინჯი. ლაბორატორიული კვლევის შედეგად, სასმელი წყლის შვიდივე სინჯში ძირითადად გამოვლინდა მიკრობიოლოგიური ტიპის დარღვევები.

თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოგიდგენთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგებს, ნიმუშის აღების ადგილის, დარღვევების, თარიღისა და ლაბორატორიის მითითებთ (იხილეთ ***დანართი 1***); გამოვლენილ დარღვევებზე ჩვენს მიერ განხორციელებულ რეაგირებეზე იხილეთ ***დანართი 2;***

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 7-14 დეკემბერს განხორციელდა შპს „ხელვაჩაურის წყალი“-ს 12 წყალსადენი-სათავე ნაგებობის გეგმური ინპექტირება, რომლის დროსაც გამოვლინდა არაკრიტიკული შეუსაბამობები. გეგმური ინსპექტირების დროს დაფიქსირებული არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო გაცემული მითითებების შესრულებისთვის ბიზნესოპერატორს გონივრული ვადად განესაზღვრა - 2016 წლის 01 ივნისი (ინფორმაცია მოცემული ***დანართი 1***-ში).

შპს „ხელვაჩაურის წყალი“-ის დირექტორის წერილის საფუძველზე 12 წყალსადენი-სათავე ნაგებობის გეგმური ინსპექტირების დროს დაფიქსირებული არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო გაცემული მითითებების შესრულების მდგომარეობის გადამოწმება გადავადდა 2017 წლის 30 ივნისამდე .

პატივისცემით,

სახელი გვარი

<ფაქსიმილე>

თანამდებობა